

1. ხედვა: *რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?*

საქართველოს გაერთიანება, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სწორი საგარეო პოლიტიკის წარმართვა, მსოფლიოში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამასთანავე, თვისობრივად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო მოწყობისა და მართვის არსებული სისტემა. სახელმწიფოს ახალმა მოწყობამ სისტემურად უნდა გამოირიცხოს ბელადომანია და ავტორიტარული რეჟიმის აღმოცენება. სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს ადამიანი!

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

განათლების სისტემის რეფორმა მიზნად ისახავს ზოგადი პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ცოდნასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, მეცნიერების განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ზოგადი განათლების სფეროში, ჩემი მიზანია, ყველა მოქალაქისათვის სათანადო ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.

განათლების ხელშეწყობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის პიროვნებად ფორმირება. ამიტომ, სკოლა და ზოგადად სასწავლებელი მართო ცოდნას არ უნდა აძლევდეს მოზარდს, მან უნდა აღზარდოს და ჩამოაყალიბოს იგი თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ამ საქმეში ძალზედ დიდია ოჯახის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დაწესებულება, ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და რადგან საზოგადოება, არის ოჯახთა ერთობლიობა, განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს. ეს არის სწორედ იმის გარანტია, რომელიც მომავალ თაობას ააცილებს საზოგადოებისათვის მიუღებელ მანკიერ გამოვლინებებს.

ხარისხიანი და თანამედროვე უმაღლესი განათლების ხელშეწყობა ერთ-ერთი წინაპირობაა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებისა და ეკონომიკის წინსვლისათვის. განათლების ყველა დონის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ამავე დროს ეფუძნებოდეს ქართულ ეროვნულ ღირებულებებს.

კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ უსწავლელი ადამიანის შენახვა სახელმწიფოს ბევრად ძვირი უჯდება, ვიდრე განათლებული, დასაქმებული ადამიანისა.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

- გაუქმდეს საშემოსავლო გადასახადი პროცენტებზე;
- გაუქმდეს დღგ-ს გადასახადი საბაჟოზე;
- საშემოსავლო გადასახადი შემცირდეს 15%-მდე;
- გაუქმდეს 'ფინანსური პოლიცია';
- სამართალდარღვევებზე პასუხიმგებლობა ძირითადად ფინანსური სანქციებით განისაზღვროს;
- ჩამოყალიბდეს საგადასახადო დავების განხილვის სპეციალიზირებული სასამართლო;
- შეიზღუდოს მეწარმეთა სარჩელის განხილვის ვადები.

4. ეკონომიკა: როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

საქართველოს ეკონომიკა ეფუძვნება ლიბერალიზმს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში, კერძო სექტორის როლის ზრდასთან არის დაკავშირებული. საქართველოსთვის მთავარ მიმართულებად რჩება საბიუჯეტო სისტემების სრულყოფა და საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი გაუმჯობესება, მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ეკონომიკური კრიზისების დამლევა, შემდგომი ეკონომიკური ზრდა. საქართველო, ქართული ეკონომიკის წილში მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, კერძოდ კი სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებას, ექსპორტის მხარდაჭერას, კერძო ინვესტიციების მოზიდვას, გასაღების ბაზრების მოძიებაში სახელმწიფოს მხარდაჭერასა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლას. სახელმწიფო ინვესტიციები განხორციელდება: საწარმოო ინფრასტრუქტურაში (მათ შორის საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში), ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, სარწყავ და სადრენაჟო სისტემების შექმნაში, კომუნიკაციების მშენებლობაში, ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მხარდაჭერაში, მიწის ხარისხისა და შემადგენლობის შეფასებაში.

კერძო ინვესტიციებისათვის შეიქმნება სრულყოფილი და დეტალური საინფორმაციო სისტემა საქართველოში არსებული აგრარული რესურსების შესახებ. ჩამოყალიბდება და განვითარდება მიწის ბაზარი. სახელმწიფო მონაწილეობას მიიღებს ქართული პროდუქციის რეკლამირებაში საერთაშორისო ბაზრებზე. საქართველო იბრძოლებს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ საჭიროების შემთხვევაში.

5. დასაქმება: თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი მისი მოქალაქეა, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საშუალო ფენის ფორმირებას, მცირე და საშუალო ბიზნესის

განვითარებას და მოქალაქის ფულთან წვდომის მექანიზმების გაიოლებას შესაბამისი საკანონმდებლო და სისტემური ცვლილებებით. ასევე ქვეყანაში ისეთი გარემოს შექმნას სადაც ინვესტიციის განხორციელებას არავითარი საფრხე არ ემუქრება და შესაძლებელია ბიზნესისა და ქონების დაცულობის გრძელვადიანი პროგნოზი, რასაც სჭირდება ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?*

საქართველოს სჭირდება რეალური და ხალხზე ორიენტირებული სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკა, რომლითაც უნდა უზრუნველყოთ საქართველოს მოქალაქეთა ღირსეული სიბერე და აღმოფხვრათ სიღარიბე.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების სოციალური დაცვა.

ჯანდაცვის პოლიტიკა ემყარება: საკუთრებისა და დაფინანსების სამართლიან ფორმას, სახელმწიფო დაფინანსებას. ჯანდაცვის გრძელვადიანი დაგეგმარებისათვის საჭიროა საიმედო ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სისტემის მუშაობის შესახებ.

ჯანდაცვის სფეროში პრიორიტეტულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სახელმწიფო დაზღვევა საბაზისო პაკეტით. საქართველოს ჯანდაცვის მთავარი მიმართულებაა სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაში.

სოციალური და ჯანდაცვის ხსენებული პოლიტიკა ამ მიმართულებით გამართული ჯანდაცვის სისტემის მყარი გარანტიაა.

7. სოციალური უსაფრთხოება: *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი ადამიანია:

- გადაიხედოს საარსებო მინიმუმში;
- შეიცვალოს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესი;
- გაუტოლდეს პენსია საარსებო მინიმუმს;
- შემუშავდეს ადრესირებული სოციალური დახმარების სისტემა.

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

აუცილებელია თვითმმართველობების დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს მათ ქონებაზე და ფინანსებზე კონტროლს, ცენტრალური ხელისუფლების მონიტორინგის ქვეშ.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

ჩვენ უარს ვამბობთ ძალის გამოყენებით კონფლიქტების მოგვარებაზე. გვინდა გაერთიანება და აფხაზ და ოს ხალხთან ერთად თანაცხოვრება.

- უნდა ვიპოვოთ საერთო ენა აფხაზებთან და ოსებთან;
- საქართველო, მათ შორის, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ვერ იარსებებს აფხაზების და ოსების გარეშე; მაგრამ ვერც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იარსებებს საქართველოს გარეშე;
- ჩვენ უნდა შევქმნათ ქართველების და აფხაზების, ქართველების და ოსების ერთად ცხოვრების ღირსეული პირობები. პირველი ნაბიჯი ამ გეგმის განსახორციელებლად უნდა იყოს ახალგორის და გალის რაიონების და კოდორის ხეობის დემილიტარიზაცია;
- დევნილების უსაფრთხო დაბრუნება;
- მხოლოდ საერთაშორისო პოლიციური ძალების კონტროლის დაწესება;
- საერთაშორისო ეგიდით ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება.

საქართველოს პრიორიტეტი უნდა გახდეს მიმზიდველობის პოლიტიკა. ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული წყობა ეკონომიკური განვითარების მოდელი და ტემპები, თანასწორი და სამართლიანი საზოგადოება, ჰარმონიული და თანაბრად განვითარებული რეგიონები უნდა ჰქმნიდნენ ევროპული სტილის მიმზიდველ ქართულ გარემოს.

რუსეთი, ა.შ.შ. და ევროპა ეს სამკუთხედი არის ბუნებრივი სამკუთხედი, რომელსაც საქართველო ვერ გაექცევა და არც უნდა გაექცეს. საქართველო არის და იქნება რუსეთის მეზობელი, ამერიკის პარტნიორი და ევროპის ნაწილი. საქართველოს დაბალანსებული პოლიტიკის საშუალებით შესაძლებელია გახდეს ამ სამკუთხედის მთავარი მოთამაშე, არა ობიექტი სხვისი თამაშებისა არამედ ავტორი საკუთარი საგარეო პოლიტიკისა.

საქართველო ესწრაფვის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ერთმანეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო მიესალმება რუსეთის დაახლოებას ევროპასთან და გადატვირთვის პოლიტიკას ა.შ.შ.-სთან. საქართველო ანგარიშს გაუწევს რუსეთის ინტერესებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში.

10. უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?

ქვეყანა უნდა ზრუნავდეს, თითოეულ მოქალაქეზე. მათ შორის, სექსუალურ უმცირესობათა უფლებებზე, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციაზე.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.

- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა;
- ხელისუფლების პირველი პირების მიერ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მხარდაჭერა;
- ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში – წარმომადგენლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში;
- პარტიების მიერ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში გენდერული დისბალანსის არსებობის აღიარება და მდგომარეობის გამოსწორების სურვილი;
- გენდერულ საკითხებზე საჯარო განხილვების გააქტიურება;
- სახელმწიფოს მხრიდან პარტიების წახალისების ინიციატივა პარტიულ სიებში გენდერული ბალანსის ზრდასთან დაკავშირებით;
- ქალთა პარტიული ორგანიზაციების მხრიდან აუცილებელია პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობა.

12. უმცირესობათა უფლებები: რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის მხრივ, საქართველო ყველა ღონეს იხმარს საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი არაქართული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციასა და ჩართულობისათვის ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. იზრუნებს მათთვის ქართული ენის სწავლებისა და განათლების დონის ამაღლებისათვის, ასევე მათი იდენტობის, ენის, კულტურისა და აღმსარებლობის შენარჩუნებაზე.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.

საქართველო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ბუნებრივი კატაკლიზმების, სტიქიური უბედურებებისა და მასშტაბური საწარმოო ინციდენტების პრევენციის საკითხს, რისთვისაც წინასწარ შეიმუშავებს აღნიშნული პრობლემების წინასწარი პროგნოზირების და თავიდან აცილების, კრიზისების მართვის პროგრამებს. საქართველო უზრუნველყოფს რადიოაქტიური სარაკეტო საწვავისაგან, მავნე ქიმიური ნივთიერებებისაგან ქვეყნის ტერიტორიის გაწმენდას. ჰაერის დაბინძურების წყაროებზე კონტროლის დაწესებას, საკვების უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას, საქართველოს კანონმდებლობის ევროპისა და გაეროს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნება, ეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მსოფლიო ხალხის ნომერ პირველი საზრუნავი უნდა იყოს.

სასიცოცხლოდ აუცილებელია ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიება, გამოყენება და მათი პოპულარიზაცია, რადაგან საქართველოს გააჩნია არატრადიციული და განახლებადი ენერგეტიკის განვითარების დიდი პოტენციალი, თუმცა ჯერ-ჯერობით თითქმის არ გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ენერგიის წყაროები, როგორცაა მზისა და ქარის ენერჯია.

საქართველოსათვის შედარებით ახალი პრაქტიკაა მეცხოველეობის ნარჩენების გადამუშავება და მისგან ბიოგაზის წარმოება.

ენერჯიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მზის ბატარეები. ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მზის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ელექტროენერჯიად გარდაქმნის და იძლევა მუდმივი დენის საშუალებას.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

დაბალანსებული პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და მიზნად ისახავს საქართველოსთვის ხელსაყრელი საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად საქართველო თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში.

საქართველო აღრმავებს ორმხრივ სტრატეგიულ პარტნიორობას ა.შ.შ-სთან, დასაფასებელია ა.შ.შ.-ს მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში. ასევე, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში, საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

საქართველო ესწრაფვის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ერთმანეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო მიესალმება რუსეთის დაახლოებას ევროპასთან და გადატვირთვის პოლიტიკას ა.შ.შ.-სთან. საქართველო ანგარიშს გაუწევს რუსეთის ინტერესებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში. საქართველო დაიწყებს დიალოგს რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

საქართველო იზიარებს საერთო ევროპულ ღირებულებებს და თვლის, რომ საკუთარი ეროვნული ფასეულობები ევროპული ღირებულებების ნაწილია. საქართველო მიესალმება ევროკავშირის პოლიტიკას, რომელიც რუსეთთან უფრო მეტი ჩართულობისა და თანამშრომლობისაკენ არის მიმართული. რუსეთ საქართველოს ურთიერთობების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, საქართველოს ევროკავშირთან, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის რუსეთთან დაახლოება.

საგარეო პოლიტიკის ამ სამკუთხედის ფარგლებში შესაძლებელი გახდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რეგიონალური თანამშრომლობა, რომელშიც ჩართული აღმოჩნდება რეგიონის ყველა სახელმწიფო, მათ შორის უკრაინა, მოლდოვა, რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, ირანი და საქართველო, სადაც საქართველოს გეოსტრატეგიული როლი რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება. ასეთი გარემოს პირობებში, საქართველოს ისევე, როგორც რეგიონის ჩამოთვლილ ქვეყნებს შეექმნებათ უფრო კარგი ნიადაგი მრავალმხრივი თანამშრომლობისა ფორუმებში, როგორცაა გაერო, ეუთო და ევროსაბჭო, ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

თვით დასავლეთის ხედვით საქართველო მუდმივად იქნება დამოკიდებული რუსეთზე მრავალ სფეროში და მას სხვა გზა არ აქვს, თუ არა ძლიერ მეზობელთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. საქართველო დღეს მოიაზრება, როგორც „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ ნაწილი და ტერორისტული საფრთხის მთავარი რეგიონი. საქართველოს როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა ავღანეთის და ერაყის კამპანიების შედეგად. სეპარატისტული რეგიონები საქართველოში არის დასავლეთის სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებული შემფოთების საგანი, ისინი ამ რეგიონებში ტერორიზმის პოტენციურ თავშესაფარს ხედავენ. სწორედ ამ გარემომდებლის გამო გახდა დასავლეთისთვის ამ რეგიონების დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკა პრიორიტეტული.

საქართველო ყოველთვის ხვდება რუსეთის სახელმწიფოს გეოსტრატეგიული ინტერესების პრიზმას. ტრანსკავკასია განუყოფლადაა დაკავშირებული ჩრდილო კავკასიასთან, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილია. სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობამ, რუსეთის უსაფრთხოებას დამატებითი პრობლემები შეუქმნა. რუსეთი თავის მხრივ, ცივი ომის წესებით აგრძელებს საერთაშორისო საქმიანობას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს უკვე დიდი ხანია უნდობლობა აფერხებს, რის გაღვივებაშიც ორივე მხარეს მიუძღვის წვლილი. ეს ურთიერთობები საერთოდ შეწყდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა უსაფრთხოების რისკი საქართველოსთვის. დიდხანს ამგვარ ვითარებაში ყოფნა ნიშნავს გამოუსწორებელ შედეგებს. შეძლებს კი საქართველო და რუსეთი ახლებური ურთიერთობების დამყარებას? ამ კითხვაზე პასუხი დიდწილად საქართველოზეა დამოკიდებული. ქვეყანამ საკუთარი ინტერესების დაცვის ხარჯზე უნდა გაითვალისწინოს რუსეთის ეროვნული ინტერესები. კავკასიის რეგიონში კვლავაც არსებობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კონსტრუქციული განვითარების შესაძლებლობა. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი საქართველო კარაგად გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას შიდა სისუსტეების აღმოფხვრის საქმეში.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

საქართველო თავდაცვის პოლიტიკის და უსაფრთხოების სისტემის სრულყოფისათვის, მწყობრი უსაფრთხოების პოლიტიკის და ჯანსაღი სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობისათვის პრიორიტეტულად თვლის განახორციელოს შემდეგი პროგრამული მოქმედებები:

- სამხედრო და უსაფრთხოების სისტემებზე სამოქალაქო კონტროლის, დემოკრატიულობის ხარისხის ამაღლება;
- პარლამენტში მოქმედი ე.წ. „ნდობის ჯგუფის“ უფლებამოსილების გაძლიერება – მათთვის სამხედრო და უსაფრთხოების სისტემებზე მონიტორინგის უფლების დაკანონება;
- ცალკეულ ძალოვან უწყებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოების ამოქმედება, როგორც სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელი ფორმატი;
- თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის უპირობო გამიჯვნა, თავდაცვის სამინისტროს სრულ სამოქალაქო სტრუქტურად ჩამოყალიბება, გენერალური შტაბის ბაზაზე ჯარების რესტრუქტურირების დამთავრების შემდგომ გაერთიანებული შტაბების სარდლობის შექმნა;
- გენერალური ინსპექციების ერთ სამსახურად ჩამოყალიბება და მისი პარლამენტისადმი დაქვემდებარება;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს სრული რეორგანიზაცია – ეროვნული უშიშროების საბჭოს როლისა და ფუნქციების განსაზღვრა;
- შ.ს.ს.-დან უშიშროების დანაყოფების გამოყვანა და მის ბაზაზე გამოძიების ფედერალური ბიუროს ან (კონტრდაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის) შექმნა და მისი უმაღლესი მთავარსარდლისადმი დაქვემდებარება;

- ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელების კომიტეტის შექმნა, რომლის მთავარი ფუნქციაც იქნება აღნიშნულ სტრუქტურათა სრული კოორდინირების განხორციელება;
- გამოძიების ფედერალური ბიუროსათვის (ან კონტრდაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის) ძალოვანი უწყებების ოპერატიული უზრუნველყოფის ფუნქციის განსაზღვრა და კანონში ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებების შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში ანტიტერორისტული და ანტიკორუფციული ოპერატიული სამსახურის შექმნა;
- შესყიდვების სახელმწიფო დეპარტამენტის პარლამენტისათვის დაქვემდებარება.

აღნიშნულ მოქმედებათა განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება ეროვნული უსაფრთხოების ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც სათანადოდ უპასუხებს საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს, ქვეყანას აარიდებს შიდა დესტრუქციულ ქმედებებს და გარეშე ძალთა ძალოვან ჩარევებს.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და უსაფრთხოების სისტემის ფორმირება პირდაპირ უკავშირდება ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების თემებს, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ გამოწვევებსა და საფრთხეებს. სწორედ ეროვნული ინტერესებითა და ღირებულებებით განპირობებულ, მიზანმიმართულ უსაფრთხოების პოლიტიკას მოაქვს ადეკვატური შედეგები.

საქართველოს უსაფრთხოების გარემოს შემადგენელი ყველა კომპონენტის გაანალიზებით შესაძლებელია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ გარემოში ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინტერესების გატარებას და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და საფრთხეებზე სწორ რეაგირებას.

საქართველოს ეროვნული ღირებულებაა საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველო ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებით. საქართველო ესწრაფვის მეზობლებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის გარემოს ჩამოყალიბებისაკენ. რეგიონალური უსაფრთხოების სისტემების ფორმირების, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი კეთილმეზობლური შეთანხმებებისა და ჩარჩო ხელშეკრულებების საფუძველზე მათთან მწყობრი, თანმიმდევრული დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებისაკენ.

საქართველოს მიზანია ჩამოყალიბოს უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც შექმნის წინაპირობას ქვეყნის სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ განვითარებისათვის.

ამ მიმართებით, საქართველოსთვის მისაღებია ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის და სხვა ანალოგების მაგალითი (საფრთხეებისა და გამოწვევების მსგავსების და უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით).

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების სექსუალური განათლების გაზრდა, რაც თავისთავად შეამცირებს დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას.

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ნებადართული უნდა იქნას, ექიმის რეკომენდაციით, მხოლოდ დედის ჯამრთლეობისა და სიცოხლისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

შობადობის ზრდა, დემოგრაფიული სურათის შეცვლა, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევაა.

19. გადასახადები და კრედიტი: უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?

აუცილებლად უნდა ჰქონდეთ კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება, გამომდინარე იქედან, რომ სხვა შემთხვევაში გამსესხებლის რისკები ფულის დაკარგვისა ძალიან დიდია.

20. მიწის საკუთრება: როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

კატეგორიულად ვეწინააღმდეგები, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საქართველოში შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა .

იმდენად დაბალია საქართველოში ცხოვრების დონე და მოქალაქის შემოსავლი, რომ აღნიშნული კანონით საქართველოს ოკუპირება მოხდება ფინანსურად ძლიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ.